



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### გორგაძე სერგი რომანოზის ძე

გორგაძე სერგი რომანოზის ძე (1876, სოფ. ილემი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 1929, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, პედაგოგი. დაამთავრა ქუთ. სას. სასწავლებელი (1890), შემდეგ – თბილ. სას. სემინარია (1897) და სწავლა განაგრძო ყაზანის სას. აკად. ისტ. ფაკულტ. მისი უმთავრესი ისტ. ნაშრომებია: „წერილები საქართველოს ისტორიიდან“ (წგ. 1-2, 1906-08), „საქართველოს მე-18 ს. სამხედრო ისტორიის მასალები“ (1927) და სხვ. გ. ავტორია ქართ. ვერსიფიკაციის პირველი სისტემ. კურსისა („ქართული ლექსი“, 1930), რ-შიც განხილულია მახვილის, მეტრიკის, სტროფიკის, რითმისა და ლექსის კომპოზიციის საკითხები. გ-მ შეადგინა ქართ. ლიტ-რის ქრესტომათიები: „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“ (1915), „ჩვენი ახალი მწერლობა“ (წგ. 1-2, 1917-18) და სხვ. მანვე გამოსცა ბესიკის თხზულებანი (1912), ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ (1914), იაკობ ხუცესის (ცურტაველის) „შუშანიკის წამება“ (1917). საყურადღებოა გ-ის გამოკვლევა „ქართული სადასიტყვაობა“ (1915), რ-იც ქართ. წინადადების საკითხებს ეძღვნება. თავისი დროისათვის ძალზე საჭირო წიგნად იყო მიჩნეული აგრეთვე მისი „ქართული მართლწერა“ (1916). დაკრძალულია მწერალთა და საბ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თბზ.: საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, «მოამბე», 1905, №3, 4, 5; ქართული წყობილსიტყვაობა, ტფ., 1912; ქართული ლექსი, თბ., 1930.

ლიტ.: ა ბ ა შ ი ძ ე ზ., სერგი გორგაძე ქართლის მოქცევის ქრონოლოგიის შესახებ, თბ., 1997; მ ი ს ი ვ ე, სერგი გორგაძე ქართული ეკლესიის იერარქიული მდგომარეობის შესახებ (IV-VI სს.), თბ., 1997; გ ა წ ე რ ე ლ ი ა ა., რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბ., 1965; გ რ ი გ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., სერგი გორგაძე, კრ.: ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი,

თბ., 1986.

**თ. დოიაშვილი**

---